# ჩვენი გზა

№ 35

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10-საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакции „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 35 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 35



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში** 1907 **წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.



—✦ ექიმი ✦—

## ივ. გომართელი

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს **თფილისში.**

**გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი** № 33.

მედიცინის დოქტორი

## ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

**კბილის ექიმი**

## სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

## УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—6) С. А. ГРЯЗНОВЪ.

ქართული წარმოდგენა

**სახაზინო თეატრში**

ოთხშაბათს 17 ოქტომბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ელენა ანდრონიკაშვილის სადებიუტოთ**

I.

## დაუპატიჟებელი

დრამა ერთ მოქმედებათ მეტერლინკისა, თარგმანი მ. ადამაშვილისა.

წარმოდგენის დასაწყისამდე ექიმი ივანე გომართელი წაიკითხავს რეფერატს მორის მეტერლინგზე.

II.

## ახალი ძალა

პიესა ოთხ მოქმედებათ ლანგმანისა, თარგმანი ევდოშვილისა.

არდგენენ: ქ-ნი—ტასო აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩეყქეზიშვილისა.

ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ჭერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიშვილი, ი. ქავიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი დ. ჩარქვიანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 2 მან. 50 კ.-დან 10 მან.-მდე. პარტერი 1 მან. 25 კაპ. მანეთამდე, ბალკონი 75 კ.-დან 1 მანეთამდე, გალერეივ 30 კ.-დან 40 კაპეიკამდე.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

**მზადდება წარმოსადგენათ:** „ქალაქში“, „ოჯახის ბურჯი“, „მზის ამოსვლამდე“.

მორიგე წევრი გამგეობისა **შ. გოთუა.**

რეჟისორი **ვ. გუნია.**

## ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი „**სიმპატია**“ და „**ინტელიგენტი**“, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—6—8.

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლეს საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოწაფე ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** უდელნი ქუჩა № 18, თურქის ბინა.


## როგორ არის საქმე?

იმპერიის ყველა კუთხიდან უკვე მოსვლის დეპეშები სახ. დუმის დეპუტატთა არჩევნების შესახებ, ამ დეპეშების, პირველ წაკითხვაზე უექველია გული ცხოველის უკმაყოფილებით და სიმწარით შეეკუმშება ყველა იმათ, ვისი გრძნობა-გონება გათანგულ-შებოჭვილია მძიმე სურათებით, რასაც მრავლათ გვიყენებს წინ დიადი სოციალური ტრაგედია, რომელიც იმპერიის სიგრძე-სიღრმეზე მიმოიშლება ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში.

სააგენტოს პირველი დეპეშა გვატყობინებდა, რომ უკვე არჩეულ 206 დეპუტატიდან, რაიც უდრის დუმის მთელი კრების თითქმის ნახევარს—სოციალდემოკრატიას ეკუთვნის მხოლოდ 6, სოც.-რევოლიუციონერებს—1, დაშნაკცაკანებს—1, ორია „უკიდურესი მემარცხენე“; დანარჩენები კი შეადგენენ შავრაზმელოქტომბრისტულ უპარტიო-ზომიერ-მონარქისტულ მასსას...

„პატრიოტები“, მთავრობა და მისი დამქაშები თავიანთ სიხარულს არა მალავენ. ასე „რუს. ზნამია“ სწერს: „რუსეთის ყველა კუთხეებიდან მოსული ცნობები იმედს გვაძლევენ, რომ შორს აღარ არის დრო, როცა მტრები ნაციონალურ, რუსულ უფლებრივ-ცნობიერებისა (იგულისხმე მეფის შეუზღუდველი თვითმპყრობელობა) იძულებული იქნებიან შეწყვიტონ სიცილი“. შავრაზმელთა ლეიბორგანო აცხადებს, რომ მისი ბანაკი მოუთმენლათ მიისწრაფის დუმაში, რათა იქ სათანადო შეკითხვა შეიტანოს იმაზე, თუ დღევანდელი მთავრობა „ვისაც აბარია ხელმწიფის სიცოცხლე მტკიცე დამცველია თუ არა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა, რუსის მეფის შეუზღუდველ თვითმპყრობელობისა და რუსულ რუსეთისა?“ ოფიციოზური „ნოვ. ვრემია“ მოუწოდებს „ვისაც ჯერ არს“ ეხლავე დახუროს ყველა მოწინააღმდეგე გაზეთები. იუდუშკა მენშიკოვი, რომელიც 1905 წლის ოქტომბერნოემბერში პრესის თავისუფლების მოსარჩლეთ გამოდიოდა, ეხლა კვლავ დამდგარა თავისს ბუნებრივ გუნებაზე და ითხოვს დაუყოვნებლივ გაუქმდეს პრესის თავისუფლება (თქვენმა მზემ ძალიან დიდი თავისუფლება გვაქვს) ვ ნაიდან ცენზურა... ინახავს უმწიკვლო სულის სიწმინდეს...“ შავრაზმელები და ოფიციოზები რესტავრაციის პლანებს აწყობენ და წინდაწინვე ხარობენ თავიანთ გულის ნადებთა განხორციელების მოლოდინში. მთავრობის ორგანო „როსსია“-ც უერთდება ამ სიხარულს; იგი მუცელზე ხელმოჭერილი იცინის და ხითხითებს, რომ კადეტებმა თავი მოაბეზრეს მთავრობას „კომპრომისებსა“ და „პოლიტიკურ დათმობაზე“ ლაპარაკითაო... გამხიარულებულ კამპანიას ჩვენ ეხლა მოვაგონებთ მხოლოდ ფრანგულ თქმულებას: „კარგათ იცინის ის, ვინც უკანასკნელი იცინის!“

იმათ დღეს-დღეობით კი საბუთი აქვთ მოლხენით იყვენ. დეპუტატთა არჩევის შედეგების მომტანი დეპეშები არაფრათ არის სანუგეშო ოპოზიციონურ რუსეთისათვის; როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ამ დეპეშების კითხვა მწავე უკმაყოფილებას იწვევს; ზოგიერთი რადიკალ-რევოლიუციონური წრეები სასოწარკვეთილებასაც კი ეძლევიან: „უკუვაგდოთ ილიუზიები, ნუღარ ვყოფთ უარს, რაც ცხადზე უცხადესია, ვირწმუნოთ რუსეთის რევოლიუციის სიკვდილიო“, მოსთქვამენ იგინი. მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ პირველ შთაბეჭდილებათ, არ უნდა დავმორჩილდეთ გრძნობებს, როცა საღი, ცივი გონება სულ სხვას გვიკარნახებს. მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა სახალხო საქმე უკვე წაგებულათ ჩაგვეთვალა. არამც თუ უიმედობა არ გვმართებს, პირიქით, სრული საფუძველი გვაქვს მხიარულებით განვჭვრეტდეთ მომავალს. აქედან მკითხველმა არ უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენ რაიმე საერთო გვქონდეს ანარქისტების იმ ძველ ლოზუნგთან, რომელიც ღაღადებს: „რაც უარესია, მით უკეთესია!“ ჩვენ შორსა ვართ იმათგანაც, ვინც ფორმალურათ ძირითადათ უარყოფენ ანარქიზმს, მარა საქმით კი იმათ თვალთახედვის წერტილზე გადადიან, როცა ფიქრობენ, რომ ხულიგანური დუმა უფრო ხელ-საყრელი იქნება, რადგან ეს ერთბაშათ მოსპობდა ხალხში ყოველგვარ ილიუზიებს დუმის შესახებ და უფრო სწრაფათ და ძალუმათ იფეთქებდა სახალხო რევოლიუციაო. ჩვენ შორსა ვართ იმათგან, ვინც დიდი მოძღვრების ცხოველი პრინციპები მშრალ, გამოფიტულ ფორმულებათ აქციეს, „რევოლიუციის ალგებრა“ რევოლიუციის ფრაზებათ დაახურდავეს, და ამ ფრაზებით ლამობენ რევოლიუციის „გაკეთებას“. სულ სხვაგვარია ჩვენი შეხედულება.

მაგრამ ჯერ აღვნიშნოთ, თუ რა გუნებაზე დააყენა ოპოზიციის სახე—პარტიები, დეპუტატთა არჩევნების შედეგებმა. მთელი ბურჟუაზიული ოპოზიცია მძიმეთ არის დათალხული. აი დიდი პოლიტიკური პარტია, რომელიც პირველ სახ. დუმის პოლიტიკას სათავეში ედგა, რომელიც მეორე დუმაშიაც ფაქტიურათ იმავე სათავეზე იჯდა, კადეტები, მომენტის პირველი ქრისტიანი არიან. მათი ცენტრალური ორგანო მოსთქვამს: „არ შეგვიძლიან დავფაროთ, რომ ასეთ დროს კონსტიტუციონური პარტია განიცდის თავისი არსებობის მეტის მეტათ მძიმე წუთებს... პარტიას, რომელმაც თავისი მხრებით გამოიტანა სახალხო წარმომადგენლობის იდეა და სხ. და სხ. ამ პარტიას წინადადებას აძლევენ ან სრულიად გაცამტვერდეს და ან ამოიფხვიროს იმ წეს-წყობილებას, რომელიც მას სძულს, რომელსაც იგი პრინციპიალურათ უარყოფს. და როგორიც უნდა იყოს პარტიის გადაწყვეტილება, მას წინდაწინვე სახარლათ დასცინიან დღევანდელი დღის უსირცხვილო, უტიფარი გამარჯვებულნი“. ასე იცრემლებიან, ასე გოდებენ კადეტები და მათ გოდებაში უკვე ისმის მდგომარეობასთან შერიგების კილო. „რეჩი“ აღნიშნავს პარტიის დამსახურებას, რომელიც იმაშიაც გამოიხატა, რომ იგი მუდამ მიუთითებდა იმ აუცილებელ პირობაზე, რაიც საჭიროა სახელმწიფო კრიზისიდან გამოსასვლელათ; ეს პირობაა „გულწრფელობა (მთავრობისა) და კატეგორიული პოლიტიკური დათმობანი“. „არ არის ეს გულწრფელობა—კადეტები შეჩივიან მთელ ქვეყანას—მაშასადამე, არც შეიძლება იყოს მტკიცე ნიადაგი, სადაც წმინდა კონსტიტუციონურ იდეას შეეძლებოდა მაგარი ფესვები გაედგა". კადეტები მაინცა გრძნობენ, რომ სასოწარკვეთილების საჯარო აღიარება პარტიის სიკვდილს უდრის და ამიტომ მათი ორგანო სანუგეშო სიტყვას პოულობს: „მაგრამ ნიადაგი ესე (კონსტიტუციის ფესვების გასაკეთებლათ) შეიქმნება, ვინაიდან ცხოვრება ისე დღი-დღიურათ, როგორც ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ, შეუძლებელია“. აი კადეტების მთელი პოლიტიკური ფილოსოფია, მათი აპკარი, მათი იდეიური იარაღი. ვინ არ იცნობს, რომ ეს იარაღი გამოჭედილია „მრავალ თაობის რუს ინტელიგენციის ფიქრთა-ზრახვათა მეუფისაგან“ სახელოვან მიხაილოვსკისაგან, რომელიც ასწავლიდა: რა ვუყოთ, რომ ისტორიული პროცესი უკუღმართათ მიდის, ჩემი კრიტიკულათ მოაზრე პიროვნების სურვილია ცხოვრებას მივაწვე ჩემი სურვილისაკენ; ცხოვრებაში ყველა ნაირი სურვილები და იდეალები განხორციელებულა და რაღა მე დავრჩები პირში ჩალა გამოვლებულიო.

ძირითადათ განსხვავებულია ჩვენი მსოფლ-მხედველობა. ჩვენი რწმენით ისტორიის შემოქმედი არ არის „მარილი ამ ქვეყნის“ ინტელიგენცია—და ისიც ბურჟუაზიული ინტელიგენცია, კადეტები, რომელნიც სტოლიპინის მთავრობას ევედრებიან „გულწრფელობას“ და „პოლიტიკურ დათმობით“—ისტორიასა ქმნის ხალხის მასსა, მასიური მოძრაობა; ხალხისაგან თავისი მდგომარეობის სისწორით შეგნება უტყუარი თავმდებია სახალხო საქმის გამარჯვებას. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, თუ გონების თვალს გაუყრით ცხოვრების სიღრმეს, რომლის ერთი გამოხატულებაა სახ. დუმის არჩევნები, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ საქმე კარგათ არის.

ავიღოთ იგივე არჩევნების შედეგები. უკანასკნელი დეპეშა გვაუწყებს, რომ 327 უკვე არჩეულ დეპუტატიდან პიტალო შავ-რაზმელებს, „რუსი ხალხის კავშირს“ ეკუთვნის მხოლოდ 21 კაცი, ხოლო ოქტომბრისტებს—64. დიდ უმრავლესობას შეადგენენ „ზომიერ-მემარჯვენენი“, რომელთაც ჯერ თავს სიტყვა არ უთქვამთ, მარა ცხადია, რომ იგინი არ ეკუთვნიან არც პირველ (შავრაზ.) და არც მეორეთ (ოქტ.). ასეთი შედეგები მაშინ, როცა მთავრობამ ყველაფერი მოიმოქმედა შავ-რაზმელ დუმის შესადგენათ, დიდათ საგულისხმოა. ეს შედეგები მოწმობს, რომ ვიდრე მთავრობა ციფრებით ხელში ანგარიშობდა ერთგულ ყმების რაოდენობას და თანაც ბეჯითათ აწარმოებდა „ქვეყნის დამშვიდებას“, ხალხის პოლიტიკური დავაჟკაცება და გათვითცნობიერება მუდამ წინ მიდიოდა. ახლა ამას ხედავენ უმაღლესი წრეებიც. ორთავიან არწივის ქვეშ მყოფი „ს-პეტ. ვედ“. მემარჯვენე დუმის შესახებ გამოაცხადებს: „მთავრობა მაინც ვერას გზით ვერ მოიპოვებს გამარჯვებას.... ..მთავრობას და საზოგადოების შორის განხეთქილება უფრო იმატებს... დღევანდელი მყუდროება მაცდურია... ჩვენ კვლავ იმავე საბედისწერო საკითხის წინაშე ვდგევართ“.

დიახ, სახალხო საქმე მძიმეთ, მაგრამ ბეჯითათ მიდის წინ...

## ახალი ამბები

✦ **ქალ. საბჭოს სხდომა.** 15 ოქტომბერს ქ. თვითმართველობის დარბაზში საღამოს 8 ს. მოხდა სხდომა ქალ. ახალი ხმოსნებისა. პირველათ ხმოსნებმა მიიღეს ფიცი. შემდეგ არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარეთ ექიმი ლუნკევიჩი; ქალაქის თავის არჩევა გადაიდვა 29 ოქტომბრისათვის; სხვა და სხვა ფუნქციონალური კომისიის არჩევა მოხდება მას შემდეგ, როცა ამ კომისიების ასარჩევათ ქალ. გამგეობა პროექტს წარმოუდგენს საბჭოს. საბჭომ განიხილა ხმოსნის ვართანოვის წინადადება და დაადგინა: იმ ხმოსანს, რომელიც მსახურებს ჯამაგირით და ექვემდებარება ქ. გამგეობას და ქალაქის თავს, არ ქონდეს უფლება ხმოსნობისა.

ბოლოს განიხილეს კითხვა პურზე ნიხრის განსაზღვრის შესახებ. საბჭომ მიიღო ქ. გამგეობის პროექტი: გაიყიდოს პური ფუნთსა 1-ლი ხარისხის 5 კ., 2-ის $4^1/_2$ კაპ. თორნის პური 1-ლი ხარისხისა $5^1/_2$ კაპ. შემდეგი კრება დანიშნულია 22 ოქტომბრისათვის.

✦ **ნამესტნიკის დეპეშა.** როგორც გადმოგვცეს, კავკასიის ნამესტნიკს გზათა მინისტრისათვის დეპეშით უთხოვნია მოახდინოს განკარგულება, რომ რკინის გზას მართველობამ მისცეს დამატებითი ვაგონები ჩრდილო კავკასიიდან ამიერ კავკასიაში ფქვილების გადმოსატანათ.

✦ **მეპურეების დაპატიმრება.** 15 ოქტომბერს ვერაზე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ხელმეორეთ დააპატიმრა მეპურეები იმის გამო, რომ ისინი არ ასრულებენ ქ. გამგეობის მიერ დროებით გამოცემულ დადგენილებას პურის ნიხრის შესახებ და განაგრძობენ გაფიცვას.

✦ **დატუსაღება.** როგორც გადმოგვცეს, ქუთაისში ადმინისტრაციას შეუპყრია ვინმე ტაბაძე, რომელიც გამოტეხილა, რომ მონაწილეობა მიუღია ფოსტის გაძარცვაში ძირულასთან. ამასთან უთქვამს,— თავდამსხმელთა მოთავე იყო მოკლული არაპიძეო.

✦ **პროფ. კავშ. გამგეობის დადგენილება.** 11 ოქტომბერს მოხდა პარიკმახერების ქარგალთა პროფ. კავშირის გამგეობის კრება. კრებამ, სხვათა შორის, განიხილა კითხვა პურის გაძვირების შესახებ და ის აზრი გამოთქვა, რომ ყველა კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და ებრძოლონ ამ მოვლენას ყოველნაირი კულტურული საშუალებებით.

✦ **კოოპერაციის დაარსება.** ნადიროვის მამულის მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ დააარსონ პურის საცხობი კოოპერატიული საზოგადოება. უკვე ჩაწერილა რამდენიმე წევრი. საწევრო გადასახადია 5 მან. აურჩევიათ საგანგებო კომისია, რომელიც ორგანიზაციუ-

ლათ მოაწყობს საზოგადოების საქმეებს. როგორც ამბობენ, საზოგადოების წარმოება ამ მოკლე ხანში დაიწყება.

◆ **ხოლერა.** ამას წინათ შულავერიდან თფილისის მიხაილოვის საავადმყოფოში ჩამოყვანილი იოსებ კარასი გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, ხოლერისაგან.

◆ **სომხური სექციის დადგენილება.** სახალხო უნივერსიტეტის სომხურ სექციას გადაუწყვეტია შემდეგი ფასები: მთელი კურსებისათვის—1 მ. 50 კ., ერთი განყოფილებისათვის 50 კაპ.

◆ **ლექციები უმაღლეს კურსებზე.** დღეს, მე-2 ვაჟთა გიმნაზიაში წაიკითხავენ ლექციებს: გეხტმანი—„განახლების ეპოქა"-ზე, ბუგშტეინი—„პოლიტიკურ ეკონომია"-ზე.

◆ **მღვდლის მოკვლა.** 16 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ავჭალის ქუჩაზე მოუკლავთ ერთი მოხუცებული მღვდელი ბერიძე. მკვლელები მიმალულან, ეჭვით ორი კაცი დაუპატიმრებიათ.

◆ **ცნობა პროვინციიდან.** როგორც ეწერიდინ (ქუთაისის მაზრა) გვატყობინებენ, ილიკო კოპალეიშვილის (ვიბორშჩიკის) გაქცევის გამო, რომელიც ამას წინეთ დატუსაღებულ იქნა, ადმინისტრაციას მისი მეზობლების სახლები რამდენჯერმე გაუჩხრეკია, და თუმცა საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენია, მაინც ერთი გლეხი ილარიონ კოპალეიშვილი შეუპყრია და ციხეში ჩაუმწყვდევია.

◆ **ქუთაისიდან** გვწერენ: 13 სექტემბერს, საღამოს შვიდ-ნახევარ საათზე, გაგარინის ქუჩაზე რამდენიმე ტყვიით მოკლეს მღ. ტერ-ჰოსებ ამირალოვი, როდესაც ის სახლში მიდიოდა ერთ მიცვალებულ ქალის ოჯახიდან. ამბობენ, მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდაო. განსვენებული თანაუგრძნობდა ს.-დ-ის. დუმის არჩევნების დროს ყოველთვის კენჭს ს. დ. აძლევდა, აგრეთვე დახმარებას უწევდა საარჩევნო კომისიას. სომხებ შორის მკვლელობამ დიდი აღელვება გამოიწვია და წყევა-კრულვას უგზავნიან მკვლელს. განსვენებულის ქვრივს და ობლებს არავითარი სახსარი არ დარჩენიათ არსებობისათვის, 14 სექტემბერს მოხდა სომეხთა საზოგადოების კრება, რომელმაც დაადგინა, დაიხარჯოს განსვენებულზე 300—400 მან. საეკლესიო ფული და შესდგეს კომისია დასაფლავების მოსაწყობათ. ამავე კრებამ ზიზღი გამოუცხადა ტერ-ჰოსების მკვლელს.

◆ **ქალაქის სამკურნალოს საყურადღებოთ.** სოლოლაკში სრედნი ქუჩაზე და ტერასის პერეულკაზე 15 წელიწადი მეტია აშენებულა სახლები, ქალაქის მართველობა გადასახადებს ახდევინებს და გზას კი არ აკეთებს. უგზოობის გამო მდგმურები არ დგებიან და ნახევარზე მეტათ სახლები ცარიელი არის. ქალაქის სამმართველოს რამდენჯერმე მიმართეს ამ უბნის მცხოვრებლებმა, მაგრამ ჯერაც ყურადღება არავის მიუქცევია.

## ადგილობრივი პრესა

გაზ. „ისარი" ეხება სოციალდემოკრატიის გამარჯვებას და სწერს:

თფილისის და ქუთაისის საპარლამენტო არჩევნებზე სოციალდემოკრატებმა მესამეთ გაიმარჯვეს. ვერც საარჩევნო აგიტაციის შევიწროებამ, ვერც საარჩევნო სიებიდან კანონის ძირითადმა შეცვლამ ვერაფერი დააკლო ჩვენებურ სოციალდემოკრატებს. ყველგან, მთელს რუსეთში რეაქციის ქამანდებმა სულ ერთიან შეაცვლევინა პირი არჩევნებს, საქართველოში კი, „ერთათ-ერთი სოციალდემოკრატია" სდგას უძლეველი, უცვლელი და ურყეველი. რეაქციის გასაძლიერებლათ განაპირა ქვეყნებში საერთოთ და ჩვენში კერძოთ მკვიდრ-რუსებისაგან განცალკევებული საარჩევნო კურია შექმნეს, მაგრამ ამანაც ვერაფერი დააკლო ქართველ ს.-დემოკრატებს.

გაზეთი იმასაც დასძენს, რომ თუ მთელ რუსეთში ყველა ოპოზიციონურ პარტიებს საჭიროთ მიაჩნდათ მეზობელ პარტიებთან შეთანხმება-შეკავშირება, რადგან საკუთარის ძალ-ღონით ერთობ საეჭვოთ ხედავდენ გამარჯვებას, ქართველ სოც.-დემოკრატიას ამ საკითხშიაც განსხვავებული მდგომარეობა ქონდა:

ქართველ სოციალდემოკრატებისათვის ამ შეერთების და შეთანხმების საკითხებს მხოლოდ თეორიული (უკეთ რომ ვთქვათ პარტიული) მნიშვნელობა ჰქონდათ, პრაქტიკულათ კი მათთვის ეს საკითხები არ არსებობდენ. შეუერთებლივ და შეუთანხმებლივაც მათ სრული იმედი ჰქონდათ გამარჯვებისა და აკი კიდეც გაიმარჯვეს.

გაზ. „ისარი" სამართლიანათ დაასკვნის:

რა თვალითაც უნდა შეხედოთ ამ ფაქტს, რა ფასიც უნდა დასდოთ მათ გამარჯვებას, იმას მაინც ვერაფრის გზით ვერ უარჰყოფთ, რომ ს.-დემოკრატია, როგორც პარტია, ჩვენში მეტათ თვალსაჩინო ძალაა. რა ღირსების, რა შედგენილების და რა ისტორიულ ან სოციალურ პირობების ქმნილებაა იგი, ეს სხვა საკითხია. ამაზე შეიძლება სხვა და სხვა აზრი არსებობდეს, მაგრამ თვით ფაქტი სოციალდემოკრატიის ძლიერებისა კი მაინც უცილობელია.

შემდეგ ამისა სოც.-ფედერალისტების ორგანო იკვლევს მიზეზებს, თუ საიდან მომდინარეობს სოციალდემოკრატიის აღნიშნული გამარჯვება.

როგორ მოხდა ეს, რა აზრი აქვს ამ ფაქტს? პირველის შეხედვით ორში ერთი უნდა იყოს, ან ეხლანდელი საარჩევნო კანონი მშრომელთა საარჩევრო უფლების თვალსაჩინოთ შემავიწროვებელი არ უნდა იყოს და ან ამ კანონით არჩეული დეპუტატები მშრომელ ხალხის ინტერესების გამომხატველნი არ უნდა იყვნენ.

მარა გაზეთს თვითონვე შერცხვენია საკითხის ამნაირათ დაყენების და იგი „ჯადოსნურ გამოცანის" ახსნას სხვაგან ეძებს, სახელდობრ, „რეალურ ფაქტებში". ეს ფაქტები კი თურმე იმას ღაღადებენ, რომ ქართველი სოციალდემოკრატია მარტო დგას ბრძოლის ველზე, მას გამარჯვების შემცილებელი არავინა ყავს, ერთი სიტყვით, მას „არავითარი პარტია არ ებრძვის". მაშ, მაგ. სოც.-ფედერალისტების „პარტია ქაა?" აკი ფედერალისტებო ყოველ დღე „შუბებს ამტვრევენ" სოც.-დემოკრატებთან ბრძოლაში. მარა ეს თურმე ანგარიშში ჩასაგდები არ არის, რადგან ეს ბრძოლა ყოფილა შინაური, ოჯახური დავა სოციალისტებ შორის. რაც შეეხება ბურჟუაზიულ და თავადაზნაურულ ელემენტებს, ესენი თურმე სულ გაჩუმებული, გულხელ დაკრეფილნი ყოფილან პოლიტიკურ ორგანიზაციის უქონლობის გამო. ამ „რეალურ ფაქტებიდან" „ისრისთვის" დღესავით ნათელია დასკვნა „პარტიულ ორგანიზაციის აუცილებელ საჭიროებისა ყველასათვის, ვინც კი პოლიტიკურ არჩევნების ასპარეზზე გამოდის".

ერთის სიტყვით, სოც.-ფედერალისტები, რომელთაც თავის დღეში ფიქრათაც არ გაუღლევბთ სოც.-დემოკრატიას შეებრძოლონ, როგორც სოციალისტურ პარტიას, შეებრძოლონ „შრომის ინტერესების ნიადაგზე" აი, ეს უმანკო სოციალისტ-ფედერალისტები „რეალურ ფაქტების" სახელით მოუწოდებენ ბურჟუაზიულ და თავად-აზნაურულ ელემენტებს ჯეროვანათ დაირაზმნენ, რათა მომავალ არჩევნებზე მაინც არ დარჩნენ ხელცარიელნი...

აფსუს სოციალისტებო!

## ბათუმის ქრონიკა

—

თფილისის სამოსამართლო პალატის სესსიამ, სამი დღის სხდომის შემდეგ, ბათუმის შეიარაღებულ აჯანყების საქმე დაამთავრა 13 ოქტომბერს. ბრალდებულთა სკამებზე ისხდენ: ბათუმის მოქალაქე მემამულენი ა. მ. მიქელაიშვილი და მაჰმადიანი ქართველი ასლან-ბეგ აბაშიძე, სალდათი მ. მახვილაძე, რომელიც, თითქმის წელიწადია ციხეში ზის, რკინის გზის ადგილობრივი ინჟენერ-ტეხნოლოგი კალატოზოვი, ექიმი მაღალოვი, რომელიც ბათუმიდან გადასახლებული იყო, კავალოვი, სტუპაკოვი, აბრამიანი, რომელიც 2 წელიწადია ციხეში ზის, თ. ერქომაიშვილი, პ. კეკელიძე და კამინსკი. ამ საქმისათვის გამოწვეული იყო მრავალი მოწმეები. სხვათა შორის, ბათუმის გუბერნატორი ფონ-პარკაუ, ქალაქის თავი თ. ანდრონიკოვი, ექიმები გ. ელიავა და შატილოვი, რკინის გზის სადგურის უფროსი სეკრეტი, ბათუმის პოლიცმეისტრათ ნამყოფი ცაპოვიჩი, რომელიც არ გამოცხადებულა, ჟანდარმები, პოლიციელნი, ურიადნიკ-სტრაჟნიკები და ბევრი სხვა. მოწმეების გამოკითხვის შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა, რომელთა სიტყვები მიმართული იყო იმისკენ, რომ ბათუმში განზრახ შეიარაღებული აჯანყება არავის მოუხდენია და თუ რაიმე ამის მსგავსი კი მოხდა, ეს იყო მოქალაქეთა მიერ უბრალო თავდაცვა, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი კაზაკები ქალაქში მოდებულ იყვენ, მოქალაქეებს თავს ესხმოდენ და ხოცავდენ, რის დამამტკიცებელ საბუთათ მოყავდათ ნოემბერში მოხდარი შემთხვევა, როცა ერთ დღეს, ადგილობრივ ქალაქის სამმართველოში მრავალ ადგილას ხანჯლებით დაჭრილ-დაკუწული 9 მკვდარი მოიტანეს. გარდა ამისა ისიც აღნიშნეს, რომ ხალხი მთავრობას კანონიერათ ეპყრობოდა, მაგალითათ, დეპუტაციების საშუალებით სხვადასხვა საქმეებზე დამოკიდებულებას იჩენდაო და სხვა... საქმე ხალხის დაუსწრებლათ ირჩეოდა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, პალატამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: ა. მიქელაიშვილს, ასლან-ბეგ აბაშიძეს და მახვილაძეს მიესაჯა საუკუნოთ ციმბირში გადასახლება, კავალიოვს და სტუპაკოვს თითო წლით ციხეში ჯდომა, მხოლოდ ექიმ მაღალოვს ორის წლის ციხე. დანარჩენნი: აბრამიანი, ერქომაიშვილი, კეკელიძე, კამინსკი და კალატოზოვი სასამართლომ გაამართლა. ექიმი მაღალოვი, სენატიდან კასაციის დაბრუნებამდე თავმდებობის ქვეშ განთავისუფლებულია.

— ამ დღეებში აქ რუსეთიდან ჩამოიყვანეს რუსეთში ამას წინათ დატყვევებული ფილდოროვი, რომელსაც აბრალებენ ბათუმში მომხდარ აჯანყების დროს ხალხში იარაღით [illegible] განდის გაწევას.

— 5 ოქტომბერს, სოფ. [illegible] დაჭრილი უფროსი დარაჯი კუცური, რომელიც ბათუმის საავადმყოფოში იწვა, 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.

— ბათუმში წყლის გამყვან მილებისათვის თხრილებში მუშაობა მუშებს რომ სამწუხარო შედეგს უმზადებს, ამას შემდეგი ფაქტი ამტკიცებს. ამ დღეებში აქ, პირველი უბნის, ელიობეინსკის ქუჩაზე, თხრილში მუშაობის დროს, თხრილის ერთი ნაპირი ჩამოინგრა და მუშა სარქისიანი მიწას კინაღამ ქვეშ მოყვა. თხრილები თითქმის კაცის სიმაღლეზე ითხრება და, რაღა თქმა უნდა, ჩამონგრეულ მიწის ქვეშ მოყოლილ კაცს შიში მოელის. ასეთი მაგალითები ხშირია და ტეხნიკური მხრით თვალყურის დევნება ამისთვის (ვისგანაც ჯერარს) მგონი ფიქრათაც არავის მოსვლია.

— ენკენისთვის განმავლობაში ბათუმის სანიტარულ კომისიას დაუთვალიერებია 855 ეზო-სახლკარი, 498 სავაჭრო შენობები, 6 ფაბრიკა და 6 ქარხანა. სანიტარულ ვალდებულების დარღვევისათვის შეუდგენიათ 9 ოქმი. სხვადასხვა ადგილებში მოუხდენიათ 10 დეზინფექცია. გარდა ამისა, უვარგისობის გამო, გაუნადგურებიათ რამდენიმე ფუთი ხილეულობა, თევზი, დაკლული ხორცეულობა და სხ.

**არჩევნები.** კვირას, 14 ოქტომბერს ბათუმის ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოხდა არჩევნები სათათბიროს დეპუტატისა. სამივე ოლქიდან კრებაზე გამოცხადდა სულ 28 ვიბორშჩიკი: როგორც გამოირკვა, დაახლოვებით პარტიული რწმენის მიხედვით „ვიბორშჩიკები" განაწილდებოდნენ შემდეგნაირათ: ს.-დ.—5; პროგრესისტი—2; მემარცხენე—1; კ.-დ.—1; უპარტიო—13; მემარჯვენე—2; მონარქისტი—1. სადეპუტატო კანდიდატებათ დასახელებულ იქმნა—3: ექიმი ა. შატილოვი მასწ. ლაშქევიჩი და გენერალი პრ. შარვაშიძე. პირველმა მიიღო 5, მეორემ 7, მესამემ 16 ბარათი. შემდეგ შეუდგენ საარჩევნო კენჭის ყრას, ექ. შატილოვმა მიიღო 10 თეთ. და 18 შავ., მასწ. ლაშკევიჩმა 12 თ. და 16 შავ. გენერალ. შარვაშიძემ 17 თ. და 11 შავი. ამნაირათ, როგორც მოსალოდნელი იყო, დეპუტატათ არჩეულ იქნა ისევ გენერალი

---

### კომუნალური მუშათა პოლიტიკა.

უმუშევრათ დარჩენილები.

უმუშევრობის მიზეზები ერთობ მრავალი და სხვადასხვაგვარია. ხშირათ იგი გამოწვეულია მუშების ფიზიკურ ავათმყოფობით, ამისათვის იგი ყოველ დროს და ყოველ ჟამს მოსალოდნელია. ამ შემთხვევაში უმუშევრობა არაა მასსიური მოვლენა, არამედ ინდივიდუალურია. მაგრამ სულ სხვა ხასიათისა და სხვა ფორმისაა ის უმუშევრობა, რომელიც წარმოშობილია თანამედროვე უკუღმართ ეკონომიურ ურთიერთობით; უკანასკნელ შემთხვევაში უმუშევრობა მასსიურია, ამასთან განუყრელი და მიუცილებელი სენი კაპიტალისტურ წარმოების წესის. უმუშევრათ დარჩენილთა ასეთი ნაწილი შეადგენს ეგრეთ წოდებულ „სარეზერვო არმიას", რომელთა რაოდენობა ინდუსტრიის აყვავების ხანაში მცირდება, მხოლოდ კრიზისების დროს კი ზედმეტათ მრავლდება. რამდენათაც კრიზისი ეკონომიურ ცხოვრებაში ხშირია, რამდენათაც იგი ფართოთ ედება სხვა და სხვა წარმოების დარგებს, რამდენათაც იგი საყოველთაოა, იმდენათ უმუშევრათ დარჩენილთა რაცხვი უხვი და მოულოდნელია. უმუშევართა გამრავლება კი, როგორც ვიცით, ნიშნავს სამუშაო ხელფასის დაწევას, მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის დაქვეითებას მის დეგენერაციას...

აგრეთვე უმუშევრობის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს პერიოდული (დრო გამოშვებითი) კლიმატიური მოვლენები, რომელიც ჩვეულებრივ მძვინვარებს სოფლის მეურნეობაში და საშენობო წარმოებაში. ამასთან არსებობს სოციალური მოვლენები, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე შემავიწროებელ პერიოდულ პირობებს ბადებს, აგრეთვე საზღვრავს საჭირო მომუშავეთა რაოდენობას წარმოების ზოგიერთ დარგში. აქ მუშათა რაოდენობა გაცილებით მეტათ ტოკავს, მეტ რყევაშია, ვიდრე სამეურნეო წარმოებაში; თვით სარეზერვო არმიის სიდიდე არაა დამოკიდებული მარტოთ-მარტო საზოგადო ეკონომიურ მდგომარეობაზე, იგი ხშირათ გამოწვეულია წარმოების სპეციალურ ურთიერთობისაგან, რომელიც განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ხელოსნობის ამა თუ იმ დარგისას. წარმოების ასეთ დარგს ეკუთვნიან მაგ. მოდის, გალანტერიის და სხვა ამგვარ საქონლის ინდუსტრია. სამ დასახელებულ დარგში საზოგადოთ უმუშევრობა ცოტათ თუ ბევრათ პერიოდული მოვლენაა მხოლოდ იქ, სადაც უმუშევრობა გამოწვეულია საერთო წარმოების ტეხნიკის რევოლიუციით, წვრილ წარმოებიდან მსხვილზე გადასვლით, რომელსაც ხშირათ აუცილებელ შედეგათ მოსდევს მთელ წვრილ ინდუსტრიულ დარგების მოსპობა, აქ უმუშევრობა საზოგადოთ მასსიური მოვლენაა, ამასთან იგი (უმუშევრობა) წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება და ვითარდება, ერთი სიტყვით, უმუშევრათ დარჩენილთა მდგომარეობა ერთობ მჭიდროთაა შეკავშირებული წარმოების ტეხნიკის ზრდა განვითარებასთან.

საზოგადოთ ყოველნაირი ცდა ანუ ზომა, რომელიც-კი მიმართულია უმუშევრობის წინააღმდეგ, რამდენათაც უკანასკნელი გამოწვეულია სოციალურ მიზეზებით, ნაყოფიერ-შედეგიანია, თუ ეს ზომები წარმოადგენს დასკვნას უმუშევრობის მიზეზების ღრმა შესწავლიდან. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე უმუშევრობა გამოწვეულია კაპიტალისტურ წარმოების წესით, რომელიც დამყარებულია საწარმოვო იარაღების საკუთრებაზე, და რომელიც თავის მხრივ თხოულობს ანუ საჭიროებს მუშების თავისუფალ ხელშეკრულობას, და საქონლის ბაზრისთვის წარმოებას. მხოლოდ წარმოების ისეთ ურთიერთობაში მთლათ მოისპობა უმუშევრობა, სადაც წარმოება და ნაწარმოები განსაკუთრებით მომხმარებლებისთვის არის დანიშნული. მისი სრულიად მოსპობა დღევანდელ პირობებში, ე. ი. საქონლის წარმოების ხანაში შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ შემცირება, ისიც ორი გზით.

I. საზოგადოთ შეიძლება უმუშევრათ დარჩენილთა ზედმეტათ გამრავლების შემცირება. ეს შეიძლება მაგ. შრომის ბირჟის გაძლიერებით, რომელიც მთელი თავისი დანიშნულებით შრომის მოთხოვნა-მიწოდებას შესაფერათ აწესრიგებს, შრომას თანაბრათ ანაწილებს წარმოების დარგებში, უმუშევრათ დარჩენილთ მიერეკება იქით, სადაც იგი საჭიროა. ამრიგათ არსებულ მუშა ხელის განაწილებით შეიძლება წარმოების რეგულიარულათ (გამუდმებით) მსვლელობის უზრუნველყოფა. ეს განაწილება შეიძლება კაცმა ან საზოგადოებამ ორი გზით აწარმოოს: 1) შეიძლება ერთი რომელიმე საქმე ან სამუშაო განგებ შემდეგი დროისთვის გადაიდოს და 2) ესევე სამუშაო, განსაკუთრებულ მიზნისათვის, მუშების მეტ რიცხვზე განაწილდეს გასაკეთებლათ.

პირველ წესით სამუშაოს განაწილება, ე. ი. სამუშაოს შემდეგი დროისთვის განგებ გადადება, გერმანიის ზოგიერთ ქალაქების კომუნალურმა თვითმართველობამ თავიანთ კომუნალურ წარმოებაში დიდი ხანი არაა, რაც შემოიღეს. ამ წესით საქმის გაკეთება მდგომარეობს იმაში, რომ კომუნალური თვითმართველობა, რომელიც აქამდის ყველა თავის სამუშაოებს, შრომის ბაზრის მიუხედავათ, ჩვეულებრივ ზაფხულობით აკეთებდა, ახლა იგი ზამთრის დროისთვის დებს გასაკეთებლათ, ე. ი. იმ დროისთვის, როცა საზოგადოთ სამუშაო ძალიან ნაკლებათ მოიპოვება, როცა უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვი ერთი-სამათ და ხშირათ ერთიოთხათ მრავლდება ხოლმე. იმ საზოგადოებებში, სადაც დასახელებულ წესით სამუშაოს განაწილებაა შემოღებული, უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვი ზომამდის შეამცირეს, რომ საჭირო აღარ შეიქნას გაჭირვებულთა თავშესაფარების მოწყობა, როგორც ეს არის იქ, სადაც არ არსებობს ხსენებულ წესით სამუშაოს განაწილება. ასე, ქ. კაზელის თვითმართველობამ დაადგინა, რომ თავიანთ წარმოებაში, ყველა სამუშაო, რომელიც კი შესაძლოა გადაიდოს, გაკეთდეს გვიან შემოდგომაზე. სხვათა შორის, ქ. კაზელის კომუნალურ თვითმართველობის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ შუშეულობის სამუშაო, საზეინკლო, ხის და სხვა სამუშაოები, როგორც სახალხო სკოლების და კომუნალურ თვითმართველობის შენობათა აშენება, ძველი შენობის დაშლა-დანგრევა და ყველა ამგვარი სამუშაოები ზამთრისთვის იყოს გადადებულიო. ქ. კაზელის კომუნალურ თვითმართველობის მაგალითს ბევრმა გერმანიის ქალაქის თვითმართველობებმა მიბაძეს და ამ გზით უმუშევრათ დარჩენილთა რაოდენობა ცოტათ თუ ბევრათ შეამცირეს, მათი უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლათ შეამსუბუქეს.

სამუშაოს განაწილების მეორე წესი—მუშების მეტ რიცხვზე განაწილება ინდუსტრიის დეპრესიების (შეჩერების) დროს მთავარი საზრუნავი საგანია მუშათა ორგანიზაციებისა. ისინი (მუშათა ორგანიზაციები) ცდილობენ ინდუსტრიის ასეთ კრიზისის ხანაში, უმუშევრათ დარჩენილთ სადმე სამუშაო გაუჩინონ, ალაგში ჩააყენონ და მით თავიდან აიცილონ სამუშაო ხელფასის დაწევა, ვინაიდან უმუშევრათ დარჩენილები შრომის ბაზარზე ერთობ იაფათ ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას. აი, ამისათვისაა, რომ კაპიტალისტები მუდამ წინააღმდეგნი არიან მუშათა ორგანიზაციებისა როცა ესენი მოითხოვენ კომუნალურ მართვა-გამგეობიდან, რომ მათ უმუშევრათ დარჩენილთ რამე სამუშაო გამოუძებნონ. დღეს თანამედროვე წარმოების წესის ირაციონალური თვისება ისაა, რომ იგი კრიზისების დროს, როცა ბაზარი საქონლით გავსილია, ყველგან საქონლის გაყიდვა შეჩერებულია, სამუშაო დროს აგრძელებს, დაქირავებულ მუშებს ზედმეტს ამუშავებს. ყოველი თითოეული მწარმოებელი ცდილობს რაც შეიძლება თავის საწარმოო ხარჯები შეამციროს, ძირითად კაპიტალს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოაღებინოს. ყოველივე ეს კი მას შეუძლია, როცა შრომის ბაზარზე აუარებელი ზედ-მეტი მუშა ხელი მოიპოება, როცა ბაზარი გაჭედილია უმუშევრათ დარჩენილებით, რომლებისაგან შრომის მოწოდება ერთი-ათით აღემატება მოთხოვნილებას. სწორეთ ასეთ კაპიტალისტურ მოსაზრებით, ბურჟუაზიული კლასები ერთობ წინააღმდეგნი არიან მუშათა ორგანიზაციების, რომლებიც თხოულობენ კომუნალურ თვითმართველობისაგან ზევით დასახელებულ მეთოდით სამუშაოს გაკეთება.

როგორც ვიცით, უმუშევრობის შედეგია ულუკმა-პუროთ დარჩენა და საშინელი სიდატაკე, რომელიც თავს დაატყდება ხოლმე უმუშევრათ დარჩენილთ და მათ ცოლ-შვილს. აქაც, როგორც სხვა და სხვა გაჭირების დროს, კომუნალური თვითმართველობა იბრძვის მის ასე თუ ისე შემცირებისთვის. ჩვეულებრივ ქალაქების კომუნალური მართველობა უმუშევრათ დარჩენილთა საქმეს აბარებს ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოებას, მათი საშუალებით ცდილობს უმუშევრობის მავნე გავლენის შეზღუდვას. დღესაც ბევრი ქალაქის და სოფლის საზოგადოებები მთელ თავიანთ მო-

პრ. მერაბიშვილი, პირველ სათათბიროს წევრათ ნამყოფი.

შენობის კარიდორში ამრჩევნებს ხალხი ბლომათ უცდიდა. ხალხმა მოითხოვა დეპუტატისგან მისი რწმენა-შეხედულება გაეცნო ხალხისათვის, ბ. დეპუტატი პირველათ შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ, როგორც იქნა, დათანხმდა. ზალა ხალხით აივსო. დეპუტატმა სთქვა: ჩვენს ამრჩევლებს მე ჩემი რწმენა გავაცანით, დეპუტატს გამოელაპარაკა ერთი აქ მყოფი მუშა. თქვენ დღეს წარმომადგენელი ბრძანდებით არა მარტო 28 ვიბორშჩიკისა, არამედ მთელი სამ ოლქში მცხოვრებ ხალხისა და კერძოთ ბათუმის მცხოვრებლების, ჩვენ გვინდა გავიგოთ თქვენი პარტიული რწმენა და ისიც, თუ როგორ დაიცავთ ხალხის ინტერესებს. გალატაკებულ გლეხობას ესაჭიროება მიწა, რისთვისაც მემამულეებს და კერძო მფლობელებს უნდა ჩამოერთვას მიწები და გადაეცეს გლეხებს, ხალხს უნდა თავისუფლება კრების, წერის, სიტყვის და სხვა... საჭიროა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ყველასათვის, საჭიროა არაპირდაპირი ბაჟების შემცირება-მოსპობა, სიკვდილით დასჯის მოსპობა, ამნისტია პოლიტიკურთათვის და სხ. რას იტყვით ამ კითხვებზე? ბ. დეპუტატი ამ კითხვებზე ნაკუწ-ნაკუწ უპასუხებდა და რაღაც გულის მოსულობა ემჩნეოდა. მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი. ხმამაღლა განაცხადა გენერალ დეპუტატმა, მე დავიცავ ყველა დაბეჩავებულთა ინტერესებს. კერძო საკუთრების ხელის შეხების მტერი ვიყავი და შემდეგშიც კერძო საკუთრებას დავიცავ. თქვენისთანა უსაქმოებო რომ ნებაზე მიუშვან, მალე ჯიბეშიც ჩაგვიყოფთ ხელს. თვითონ თქვენ და თქვენმა მოძრაობამ გააფუჭა საქმე, გურიის გლეხები რომ თქვენ არ აგყოლოდათ და მოძრაობაში არ ჩაებულიყვნენ, მათ დღეს მიწები ბლომათ ექნებოდათო. ნებაყოფლობით მიწებს შეისყიდდენ და ბედნიერი იქნებოდნენ. მე და ჩემებრ სხვა მემამულეებს მიწები ღირსეულათ შეგვიძენია. მე ვშრომობდი, ვმსახურებდი და მოხუცებულობის დროს „გენერლობა“ ძლივს ღამივიღეო. ხალხი, თქვენ, ფაბრიკის მუშებმა, გარყვნით და გაალატაკეთო. თქვენ გინდათ ცოტა იმუშაოთ და ბევრი აიღოთ, იფიცებით და უმუშევრობას ქნით, ამნაირათ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებს კონკურენციას უადვილებთ და ამდიდრებთო. ამნისტია, მაშინ მოხდება, როცა თქვენ დამშვიდდებით. დამშვიდდით, ნუ ეწევით მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას, და ამნისტიაც იქნებაო. რაც შეეხება სიკვდილით დასჯის მოსპობას, ეს ყოველ სახელმწიფოში ხდება და აქაც უნდა მოხდესო. ბაჟების მოსპობა მე არ მიმ ძლია და თუ „სამართლიანათ“ შემცირდება, საწინააღმდეგო არაფერი მექნებაო, ერთი სიტყვით, მე თანასწორობის მომხრე ვარ, ე. ი. ჩვენი ხალხი უფლებით რუსის ხალხისას უნდა გაუთანასწორდესო.

# რუსეთის პრესა

## მთავრობის გაზი

რადიკალების ორგანო „უტრო როსიი“ აღნიშნავს, რომ თუ ამ ბოლო დროს კადეტები ბეჯითათ მიდიოდენ მარჯვნივ, სამაგიეროთ მემარცხენე ოქტომბრისტები კიდევ კადეტებისაკენ მიიწევდენ, ამასთანავე ეს ნაწილი ოქტომბრისტებისა იმდენათ ენერგიულია, რომ იგი თავის მხარეზე ადვილათ გადაიყვანდა „კავშირის“ საგრძნობელ ნაწილს და ამრიგათ, ოქტომბრისტების და კადეტების მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ უეჭველათ პრაქტიკულ შედეგს მოიტანდა, რომ საქმეს წინ არ გადაღობებოდა მთავრობაო. გაზეთი სწერს:

„მაგრამ მთავრობა მშვენივრათ მიხვდა თავის მდგომარეობას... ოქტომბრისტების გზა დუმაში ტყუილათ ხომ არ იყო ვარდებით მოფენილი, ტყუილათ ხომ არ მისცეს მათ შეუზღუდველი საშუალებანი თავისუფლათ დაიჭირონ თავრიდის სასახლე. და აი, იმ წუთას, როცა ბ. სტახოვიჩისაგან დაწყებულ მოლაპარაკების ზეგავლენით ოქტომბრისტების რაზმები შეირყა, იმ წუთას მთავრობამ მოუჭირა სახელოვან გაზს და კადეტების ნესტარი (ოქტომბრისტების ხორცში გაყრილი) უმალვე ამოვარდა. ოქტომბრისტების ბედიც გადაწყდა. იგინი მთავრობის იდეიურ და პოლიტიკურ ულუფაზე არიან და მორჩილებითაც უნდა ეწეოდენ სამსახურს. მონებს არ შეუძლიათ აჯანყება. მათ უბრძანეს და ისინიც გაჩუმდენ.

დუმა უნდა იყოს ოქტომბრისტულ-მონარქისტული. სამინისტრო მხოლოდ ასეთთან არის თანახმა იმუშაოს.

არავითარი დათმობა მარცხნივ არ იქნება და, მაშასადამე, დუმაც იქნება ისეთი, როგორიც წინდაწინვე განზრახულია“.

ეჭვს გარეშეა, რომ გაზეთი ერთობ აზვიადებს მთავრობის ძლიერებას. დღეს იმპერიაში იმგვარია ცხოვრების პირობები, რომ სახ. დუმას მაინც გაერჭმება არა ერთი და ორი ოპოზიციონური ნესტარი, რომელთა ამოსაძრობათ უღონო იქნება მთავრობის ყოველნაირი გაზი. ამას თვითონ გაზეთიცა გრძნობს და იგი წერილის ბოლოს დასძენს:

„ძალუმი ცხოვრება შეიჭრება თავრიდის სასახლეში. იგი შეძვრება იქ უხილავათ. შეძვრება უწინარეს ყოვლისა უპარტიოთა დიდი ჯგუფის მხრიდან“.

დიახ, ძალუმი ცხოვრება უსათუოთ შეიჭრება ტავრიდის სასახლეში. საამისოთ ბევრი გზებია, როგორც ხილული, ისე უხილავი; და ერთი თვალსაჩინო, შარა-გზა ძევს, არა უპარტიოებისაკენ, როგორც გონია „უტროს“, არამედ იმ მხარეზე, სადაც მოთავსებული იქნება უკიდურესი ოპოზიცია.

# პროვინცია

—

**გარეთ კახეთი**. სანამ განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა, გარეთ კახეთში, ქურდების თარეშობას საზღვარი არ ჰქონდა. თავის პირად უნდა თუ ვინმე ამ ალვირ წახსნილ ვაჟბატონების წინააღმდეგ გაბედავდა რისამე თქმას, მას სიკვდილით ან დაწვით უმასპინძლდებოდენ; ამის შიშითაც გლეხი, თუმცა აშკარათ ხედავდა მათს მოქმედებას მაგრამ, სიტყვით ვერას ბედავდა. გლეხები, დასჯას რომ ვერ უბედავენ ქურდებს, მათვე აყენებდენ ყარაულათ, უნიშნავდენ ჯამაგირებს 25 მან. თვეში, ეგები ამით მაინც მოეგოთ გული და იქნებ ალარაფერი მოიპარონო. დიდხანს ვერ გაუძლეს ამ არა ჩვეულებრივ ხარჯს და ნელ-ნელა ალაპარაკდენ ქურდების საწინააღმდეგოთ და აი, სწორეთ ამ დროს უსწრო ერთობის ხმამაც. პირველი იერიში გლეხებმა ქურდებზე მიიტანეს, უმეტეს შემთხვევაში ვინც კი შეინანია დანაშაული ხალხმა ერთობის სახელით მათაც აპატია წინანდელი და შეიერთა. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ ამბობს ხალხური ანდაზა და ამ ვაჟბატონებმაც დიდხანს ვერ დამალეს თავისი ავ-კაცობა. შეეკვეცა ფრთები ერთობას თუ არა და რექცია დაიწყო, მათაც აუძგერდათ გული, მოაგონდათ უზრუნველი ცხოვრება, სხვის ქონების მტაცობის მადა კვლავ აღუფრთოვანდათ, მხოლოდ ახლა სხვა სახით; თუ წინეთ ქურდობდენ, ეხლა ერთობის სახელით დაიწყეს ხალხის ძარცვა-გლეჯა აშკარათ, მიდიოდენ ართმევდენ ცხვარს, ღორს, ინდოურს, პურს, ფულს, ქალამნებს, ჩოხებს და სხვას და თან ეუბნებოდენ ჩვენ დევნილი ვართ მთავრობისაგან, თქვენი გულისთვის და უნდა შეგვინახოთო. შეგნებამ თავისი გაიტანა, ხალხმა გაიგო მათი ცრუ ერთობა და რაკი ეს საშუალებაც დაეკარგათ ქურდებში, კვლავ შეუდგენ წინანდელ ჩუმათ ქურდობას. მაგ. მოიპარავენ ცხვარს, დაკლავენ, დამალვენ, ღამით მივლენ და შინ წაიღებენ, ხორცს გაიყოფენ და ქეიფობენ. ნინოწმინდაში ამნაირათ დამალულ ხორცზე ზედ მოუკლავთ ერთი ქურდთაგანი. ამ სიკვდილმა ხელი შეუწყო ქურდების შეკავშირებას და ეხლა გადაუწყვეტიათ, ვინც მოწინავე და შეგნებული პირებია და მათ ავ-კაცობას ხალხში ააშკარავებს, მოვკლათო. ეს მათი მუქარა გაუგებელი არ დარჩა ხალხს და სოფელ პატარძეულის საზოგადოებამ პირველმა მისცა წინადადება ნინოწმინდელ ქურდებს, ხელი აეღოთ ამ მუქარაზე, უკიდურეს შემთხვევაში სულ ერთიანათ ამოწყვეტას ემუქრებიან, თუ ვინმეს ხელი შეახეს, სადაურიც უნდა იყოს. ამნაირათვე წინადადების მიცემას უპირებენ ყველა დანარჩენი სოფლებიც და თუ მართლა ამნაირი თავხედობა გაბედეს სადმე იცოდენ ქურდებმა მათი ხსნა ხალხისაგან არავის არ შეუძლია.

მეთვალყურე.

—

**სოფ. ბერეჟოული**. (გურია) 5 ოქტომბერს ოზურგეთიდან მომავალ სტრაჟნიკ ინგუშებს თავს დაესხა ვილაც შეიარაღებულნი და მოკლეს. ამ საქმის შესახებ ბოქაულმა შეადგინა „რაპორტი“ და გაუგზავნა მაზრის უფროსს. მაზრის უფროსმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა, რომ აუცილებლათ ჯვარცხმისა და ბასილეთის საზოგადოება დახვედროდა ბერეჟოულში კვირას, 7 ოქტ. დანიშნულ დღეს მოვიდა მაზრის უფროსი, ცოტა არ იყოს მხიარულათ მიეგება ხალხს და უთხრა: მე გამოგზავნილი ვარ რაზმის უფროსისაგან თქვენთან, როგორც მოციქული, თუ რას იტყვი თ ამ ამბის შესახებ და რით გაიმართლებთ თავს. ის თვითონ აპირებდა წამოსვლას, მაგრამ შეჩერდა, რომ გაიგოს თქვენი აზრი, ხოლო შემდეგ როგორ მოიქცევა არ ვიცი. ახლა დაფიქრდით და მუხთრით რა მოვახსენო რაზმის უფროსს. ხალხმა უპასუხა: რადგან ჩვენ უმცირესობას შევადგენთ, ამიტომ მოგვეცით ვადა, რომ პასუხი მოგახსენოთო. მაზრის უფროსმა სამი დღის ვადა მისცა და განუცხადა: ამ ვადაში თქვენ აირჩიეთ დელეგატები და გამოგზავნეთ; თითონკი უკან გამობრუნდა. ორივე საზოგადოებამ, თანახმათ მაზრის უფროსის დაბარებისა, აირჩია დელეგატები, 10 კაცი. და დაიბარეს ასე: „ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ მოკლა ისინი. ეს კი ვიცით,, რომ ქუცურ-ბეგს ჰყავდა კერძო მტრები. ვისაც შეხვდებოდა ის, გზაში თუ ბაზარში, დაიჭერდა უმოწყალოთ სცემდა, ქრთამებს ართმევდა და სადაც შევიდოდა სახლში ამტვრევდა ყველაფერს, მიქონდა რის წაღებაც შეიძლოდა და სხვ. შეიძლება ამდენი კერძო მტრებისაგან ვინმე გამოვიდა და მოკლაო. დელეგატები წავიდენ ოზურგეთში და დანაბარები რაზმის უფროსს მოახსენეს. იმან გამოუცხადა დელეგატებს: „ჩვენ „რაპორტი“ გვაქვს გაგზავნილი გუბერნატორთან და ვეცდებით, სანამ გუბერნატორისაგან რაიმე განკარგულება მოვიდოდეს, ეს თქვენი მოხსენება გავაგზავნოთ. შემდეგ, როგორც გვიბრძანებს, ისე უნდა მოვიქცეთო. ისე თქვენ ყოველ შემთხვევაში ფულები მოამზადეთ, თუ ვინიცობაა, დაგეშტრაფონო. ვნახოთ როგორ წავა საქმე.

Bobil

—

**რაჭა**. აქაური ბნელი ძალები განცხრომაში არიან და შრომით დაქანცული რაჭის გლეხობაც-კი ყველაფერს მოკლებული უზომო გაჭირვებას განიცდის; სხვა მრავალ გასაჭირთან ერთათ მათ სტანჯავთ უექიმობა, რის გამო ბევრი, ძალიან ბევრი უმწეო ეამება სიცოცხლეს. მარტო მაზრის ექიმი ბ-ნი ლორთქიფანიძე ავათმყოფებს ვერ ასდის და ხშირათ მას გამომძიებელთან ერთათ სოფლებში უხდება წასვლა, რის გამო, ავათმყოფების პატრონნი მის მოსვლამდის თითქმის უექიმოთ რჩებიან. ამასთანავე უმეტესი ნაწილი ავათმყოფთა პატრონებისა ექიმს უცდიან, ვინაიდან ექიმი ლორთქიფანიძე დაუზარელი და შრომის მოყვარე ექიმია. ღარიბ-ღატაკებს უფასოთ ექიმობს. ის მზათაა რა დროსაც გინდათ წაგყვეს ავათმყოფთან და გაგიწიოს დახმარება, რის გამო მან კარგი კაცის სახელი და სიმპატია მოიპოვა რაჭის ღარიბ მცხოვრებთა შორის. სამაგიეროთ იგივე არ ითქმის აქაურ ფერშლებზე, რომლებიც ჯერ ყურადღებას არ მოგაქცევენ და თუ კი მოგაქციეს, მათ „პრაგონს“ ვერ აუხდი.

ეს—დეკ.

# მუშათა შორის

—

**მუშათა რეზოლიუცია**. კოლავართის მლვიმევის რაიონისა, შუქრუთის, ჭიათურის, უმუშევართა, საჩხერის და დარკვეთის რემონტზე მომუშავე მუშებმა, რიცხვით 620 კაცმა, ჭიათურის ვაგონების მტვირთავ მუშების შესახებ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ არტელი ხელს უშლის მუშათა კლასს, როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ ბრძოლაში: 1) შურსა და მტრობას ბადებს მუშათა შორის, 2) აბნელებს კლასთა ბრძოლის შეგნებას, 3) ფეხ-ქვეშ თელავს მუშების მიერ სისხლით მოპოებულ რვა საათის სამუშაო დღეს, 4) ამრავლებს უმუშევრების უიმისოთაც მრავალ რიცხვს, 5) აცალკევებს „არტელშჩიკებს“ მუშათა დანარჩენ მასსისაგან და, აყენებს რა განსაკუთრებულ პირობებში, ხელს უშლის მათ გაფიცვებისა და სხვა შეგნებულ ნაბიჯების დროს კაპიტალთან ბრძოლაში მხარი დაუჭირონ თავიანთ ამხანაგებს და მით ჩვენ საერთო მტერს მხარს უმაგრებენ და 6) ვინაიდან ჭიათურის ვაგონების მტვირთავი მუშების მაგალითი ცუდ გავლენას იქონიებს სხვა ადგილების მუშებზედაც, გაადიდებს რა არტელის მოტრფიალეთა რიცხვს, და მით მუშათა კლასის წინსვლას შრომის განთავისუფლების გზაზე შესაჩნევათ შეაფერხებს,—ჩვენ სასტიკათ ვკიცხავთ ჭიათურის ვაგონების მტვირთავ მუშების ასეთ განზრახვას და წინადადებას ვაძლევთ მათ ხელი აიღონ არტელის დაარსებაზე. კლუბის-მონდომილობით.

ჭიათურელი დარაჯი.

## თფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია

(გაგრძელება იხ „ჩვენი გზა“ № 30)

კავშირის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კონფერენცია შემდეგ დადგენილებას დებულობს: 1) საკანცელიარო ნივთებზე წლის განმავლობაში საბჭო 20 მანეთამდე ხარჯავს; 2) გაფიცვის დროს გაჭირვებულ კავშირის წევრებს ეძლევათ დღეში მარტოხელს 20 კაპ., ცოლშვილიანებს კი—30 კაპ.; 3) კავშირის საქმეზე დაჭერილ ამხანაგებს ეძლევათ თვეში 3 მანეთი, გარდა ამისა ცოლშვილიანებს ეძლევათ კიდევ ოჯახობის შესანახათ—ბინის და ხარჯის ფულათ—კვირაში 3 მანეთი; 4) შორეულ გუბერნიებში გადასახლებულ ამხანაგებს ეძლევათ ერთდროული დახმარება 30—40 მანეთამდე, ახლობელ გუბერნიებში გადასახლებულებს კი—20 მანეთამდე; 5) მოულოდნელ ხარჯებზე საბჭო ხარჯავს თვეში 10 მანეთამდე.

შემდეგი კითხვაა ლოკაუტი. ლოკაუტი საზოგადოთ სოციალური მოვლენაა. წარმოებაში დგება ისეთი ხანა, როცა კაპიტალისტებისათვის უფრო ხელსაყრელია წარმოების სრული შეჩერება, ვინემ მუშების მიერ ბრძოლით მოპოვებულ პირობებში საქმის წარმოება. და აი, ხაზეინებიც მათ რომ მოუხდება, ისეთ სამუშაო პირობებს იმუშავებენ და მუშებს უდგენენ. თუ მუშები ასეთ პირობებში მუშაობას არ დათანხმდებიან, მაშინ ხაზეინები ითხოვენ მუშებს და ცდილობენ შიმშილით, გაჭირვებით აიძულონ მუშები ხაზეინების-მიერ შემუშავებულ პირობებში დაიწყონ მუშაობა. თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ ხაზეინები ეცდებიან სხვა მუშები აიყვანონ. კონფერენცია საჭიროთ სცნობს ლოკაუტების წინააღმდეგ კავშირმა შემდეგი ზომები მიიღოს: შეიტანოს კავშირის წევრებში კლასობრივი შეგნება-განვითარება, კიდევ უფრო გაამაგროს კავშირის ორგანიზაცია, გაადიდოს კასა, უკანასკნელ შემთხვევაში თავის ხარჯზე გახსნას მომხმარებელი საზოგადოებები და სხვა...

კონფერენციამ რესტორან-ბუფეტების და სასტუმროების მოსამსახურეების შემდეგი მოთხოვნები შეიმუშავა:

1. დაწესდეს რვა საათის სამუშაო დღე. სადილ-ვახშმისთვის თითო საათი დასვენება.

2. მოისპოს მუშაობა დიდ დღესასწაულებში, როგორიც არის: შობა, ახალი წელიწადი, ნათლისღება და აღდგომა.

3. დაწესდეს პირველი მაისის დღესასწაულობა.

4. ოფიციანტს და ნომერში მომუშავე მოსამსახურეს მიეცეს ჯამაგირი თვეში მინიმუმი 10 მანეთი, მოისპოს საჩუქრები და მიეცეს ნავაჭრიდან 20 პროც.

5. „კლუბში“, „კრუჟოკში“ და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში დღიურათ მომუშავე მოსამსახურეს მიეცეს დღეში ერთი მანეთი და ნავაჭრიდან 20 პროც.; დღიურათ მომუშავე მზარეულებს კი მიეცეს დღე და ღამეში 5 მანეთი.

6. მიემატოს ჯამაგირი ჭურჭლის მრეცხავებს და სამზარეულოში მომუშავეებს: ვისაც 5—10 მანეთამდი აქვს, მას 30%; 10—20 მან. 25%; 20—30 მან. 20%; 30—40 მან. 15% და ვისაც 50 მანეთზე მეტი აქვს, მას მიემატოს 10%.

7. გატეხილ, დაკარგულ ჭურჭლების პასუხის მგებელი არ არიან მოსამსახურეები. გატეხილ ჭურჭლის ფასს მოსამსახურე მხოლოდ იმ შემთხვევაში იხდის, თუ დამტკიცდება, რომ ჭურჭელი გატყდა მისი გაუფრთხილებლობით, ან განზრახვით.

8. ნისიების პასუხის მგებელი არ არის მოსამსახურე, თუ თვითონ ხაზეინის დაუკითხავათ არ გასცა.

9. მიეცეს მოსამსახურეებს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა, ან ბინის ფულათ თითეულს თვეში 2 მან. 50 კაპ. სადაც საჭიროება მოითხოვს, იქ მიეცეს მოსამსახურეებს ცალკე ოთახი ტანისამოსის გამოსაცვლელათ და შესანახათ.

10. მიეცეს მოსამსახურეებს ჩაი, შაქარი და სუფთათ გაკეთებული სადილ-ვახშამი, ორი „ბლუდიდან“, მასთან თითეულს ნახევარი ბოთლი ღვინო.

11. მიეცეს თითეულს აბანოს ფულათ თვეში 50 კაპ.

12. მოსამსახურის მიღება და დათხოვნა მოსამსახურეთა კავშირის საქმეა. თუ ხაზეინი თავის სურვილით დაითხოვს მოსამსახურეს,ვალდებულია გამოუცხადოს ამის შესახებ ერთი

---

ქმედებს, უმუშევრობის წინააღმდეგ იმით განსაზღვრავენ, რომ ესენი უმუშევართა დახმარების საქმეს ღარიბ დამხმარებელ საზოგადოებას მიანდობენ. დღეს ამ გზას ადგია გერმანიის ბევრი ქალაქების კომუნალური თვითმართველობანი, ამ მეთოდით ლამობენ უმუშევრობის შეზღუდვას. ბურჟუაზიულ თვითმართველობების ამგვარ მეთოდით ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ დამყარებულია მათ კლასობრივ ინტერესებზე, კლასობრივ ნიადაგზე. გაბატონებულმა კლასებმა ძალიან კარგათ იციან, რა გზით და რა საშუალებით მოუსპოს გაჭირებულ პროლეტარიატს პოლიტიკური უფლება, რომლისთვისაც იგი იბრძოდა და იბრძვის საუკუნოების განმავლობაში, და რომლის საშუალებითაც ცდილობს იგი დღევანდელ პირობებში რამდენათაც კი შესაძლოა, თავის მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ამისათვის ბურჟუაზიული კომუნალური მართვა-გამგეობა უმუშევრათ დარჩენილთ აყენებს ისეთ უფლებრივ მდგომარეობაში, საცა მათ არ ეძლევათ საშუალება აღადგინონ თავიანთი პოლიტიკური უფლება, ყველა ევროპიულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი ნახევრათ აბსოლიუტურ გერმანიაში უმუშევრათ დარჩენილები, რომლებსაც კი ფულით დახმარება მიუღია ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოებისგან, მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას, ამიტომაც არის რომ გერმანიის ბურჟუაზიული კომუნალური თვითმართველობანი უმუშევრათ დარჩენილთ ღარიბ დამხმარებელ საზოგადოებისკენ მიერეკებიან.

უმუშევრათ დარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი, ამასთანვე პოლიტიკურათ შეგნებული, ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოებას არ ჩაუვარდეს, არავითარი მატერიალური დახმარება არ მიიღოს იმიდან. ესენი ოჯახის უკანასკნელ ნივთს ყიდიან, აქედან აღებულ ფულით გაჭირებით ირჩენენ თავს და არც კი მიმართავენ ხოლმე ღარიბ დამხმარებელ საზოგადოებას, რათა არ დაკარგონ თავიანთ საარჩევნო უფლება ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძალიან ნაკლებათ ეტანებიან დამხმარებელ საზოგადოებას, ნაკლებათ თხოვენ მათ დახმარებას, სამაგიეროთ უკანასკნელების კასებში მუდამ მოიპოვება ფული, მოთხოვნას მუდამ აღემატება მიწოდება, თან კი ყოყოჩათ აუწყებენ მთელ ქვეყანას, ნახეთ რა ეკონომიურათ ვაწარმოებთ საქმესო.

მუშათა ორგანიზაციები, რასაკვირველია, შესაფერ პროტესტს უცხადებენ კომუნალურ თვითმართველობებს, საცა კი ამ წესით უმუშევრათ დარჩენილთა დახმარება დიდ მოდაშია. მაგ. ამ ორი წლის წინათ ბრესლავის სოციალდემოკრატებმა ქალაქის კომუნალურ თვითმართველობაში ინტერპელიაცია შეიტანეს, რომლითაც ისინი თხოულობდენ უმუშევრათ დარჩენილთათვის სამუშაო გამოეძებნათ და ამ გზით და ამ საშუალებით შეემცირებინათ მათი უკიდურესი მდგომარეობა. ისინი ეუბნებოდენ: ორგანიზაციულათ მოწყობილ მუშათა კლასს არ ესაჭიროება და არც მიიღებს ღარიბ დამხმარებელ საზოგადოებიდან არავითარ მოწყალებას, მას უნდა დახმარება სამუშაოს საშუალებით, ისეთი საშუალებით, რომელიც არ ამცირებდეს უმუშევრათ დარჩენილთა ზნეობრივ და იურიდიულ უფლებას აი, ეს პრინციპები, რომლის ცხოვრებაში გატარებას მოითხოვენ მუშათა წარმომადგენლები კომუნალურ თვითმართველობისაგან უმუშევრათ დარჩენილთა შესახებ.

რაგვარი სამუშაოები უნდა გამოძებნოს კომუნალურმა თვითმართველობამ უმუშევრებისთვის, ამაზე შემდეგ წერილში.

შვარცი.

თვის წინ საქმეს არჩევს სამედიატორო სასამართლო, რომლის დადგენილებას ორივე მხარე ემორჩილება.

13. წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ადგილის და ჯამაგირის შენახვით.

14. მოისპოს ხაზეინის-მიერ მოსამსახურის დაჯარიმება.

15. ზრდილობიანი მოპყრობა ორივე მხრით.

16. მოისპოს ოფიციანტებისათვის ფორმის ტანისამოსი. შვეიცარს მიეცეს ხაზეინისაგან ფორმის ტანისამოსი.

17. ხაზეინს არ აქვს უფლება დასაქმოს მოსამსახურეს ის, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს.

18. ჯამაგირები დარიგდეს ყოველ თვის ბოლოს.

19. რესტორანებში მომუშავე შვეიცრებს მიეცეს ჯამაგირი თვეში 50 მანეთი; სასტუმროებში მომუშავე შვეიცრებს კი — 30 მანეთი. მოისპოს ტანისამოსის შენახვისათვის საჩუქრები.

20. მიეცეს მზარეულებს დანები, სუფთა ფართუკები, კურტკები და სხვ. მზარეულების სამუშაო ტანისამოსის გარეცხა ხაზეინის ხარჯზე.

21. უფასო ექიმობა, გარდა ვენერიული ავათმყოფობისა, ადგილის და ჯამაგირის შენახვით.

22. წარმოების შეწყვეტის დროს დათხოვნილ მოსამსახურეების საქმეს არჩევს სამედიატორო სასამართლო.

დროს და გარემოების მიხედვით კავშირის საბჭო წარუდგენს ხაზეინებს მოთხოვნებს და თუ ხაზეინები მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს გამოაცხადებენ, მაშინ კავშირი აცხადებს გაფიცვას.

კონფერენცია ლეგალიზაციის პრინციპიალურათ მომხრეა, მარა დღევანდელ პირობებში მოსამსახურეთა კავშირისათვის მას შეუძლებლათ სცნობს და გადადის შემდეგ კითხვაზე.

აპოლონ ჩამწარიძე.

(დასასრული იქნება)

## წერილები პარიზიდან

მაროკოს კითხვამ ახალ სტადიაში შედგა ფეხი. მე უკვე მოგიწერე, რომ მაროკოში ამ ჟამათ აშკარა ომი შეჩერებულია. ფრანგების ჯარის სარდალს დურდს მოლაპარაკება აქვს გაჩაღებული ადგილობრივ მეომარ თემებთან მშვიდობიანობის შესახებ. ახლათ გამოჩეკილ სულთანის მულაი ჰაფიდის განზრახვანი ჯერეც არაა გამორკვეული. მრავალი სოფლები და ქალაქები უჭერენ მას მხარს, რაიც თანდათან აუარესებს ძველი სულთანის აბდ-ელ-აზიზის მდგომარეობას. საფრანგეთის მთავრობა უკანასკნელს უჭერს მხარს. ამას წინეთ მან მიუგზავნა აბდ-ელ-აზიზს დესპანი, რომელმაც რესპუბლიკის სახელით გადასცა მას საპატიო ლეგიონის ორდენი. გარეგნულათ თითქო მოგვარებულია საქმე. ნამდვილათ კი, როგორც „ტაიმსის“ მადრიდელი კორესპონდენტი იტყობინება, იგი უფრო რთულდება. ამ ცნობიდან სჩანს, რომ პარიზის და ბერლინის კაბინეტები საიდუმლო ჩურჩულში არიან გართული: მათ უნდათ შეთანხმებული ნაბიჯი გადადგან მაროკოში, ე. ი. ურთიერთ შორის გაიყონ მოსალოდნელი „ზუთხები“ მაროკოში. ვილჰელმ მეორე, რომელიც შარშან თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდა მაროკოში, რომ აბდ-ელ-აზიზისთვის თავისი „უზენაესი მფარველობა“ აღეთქვა, დღეს ცდილობს გერმანიის კაპიტალს მჭიდრო ნიადაგი მოუპოვოს მაროკოში, რაც სულთანის და მის ქვეშევრდომთა დარბევას მოასწავებს. კიდევ არაფერი, რომ საქმე უშფოთველათ მოგვარდებოდეს. მაროკოელები უეჭველათ ნებით არ დათმობენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ხანგრძლივი ომი კი გამოიწვევს ევროპიელთა ჯარის და ხარჯის ზრდას, — ერთიც და მეორეც პროლეტარიატს უნდა დააწვეს კისერზე. მასთან ნადავლის გაყოფის დროს მოსალოდნელია ატყდეს ომი თვით ევროპის კონტინენტზე და შედარებით უმნიშვნელო მაროკო საეპოქო მოვლენათა საბაბათ გახდეს.

საქმის ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ევროპის პროლეტარიატი ვერ იქნება დამშვიდებული. ყველაზე უფრო დღეს-დღეობით დაინტერესებულია საფრანგეთის და ისპანიის პროლეტარიატი, რადგან ეს ორი სახელმწიფო ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მაროკოს საქმეებში. ამიტომაც ორივე ქვეყნის მუშებმა განიზრახეს, სხვათა შორის, თავიანთ გულისწყრომას საჯაროთ გამოთქმა იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ. ხუთ და ექვს ამა თვეს საფრანგეთის და ისპანიის სოციალისტებმა გამართეს პარიზში და მადრიდში დიდი მიტინგები, რომელზედაც ორატორებათ უნდა გამოსულიყვნენ ორივე პარტიისაგან მოგზავნილი ბელადები: პარიზში ისპანელი პაბლო იგლეზიასი და მადრიდში ჟორესი.

ახლაც ყველას კარგათ ახსოვს მზგავსი მიტინგების გამართვის განზრახვა პარიზში და ბერლინში შარშან იმავე მაროკოს კითხვის შესახებ. მაშინ გერმანიის კანცელერმა ბიულოვმა „თავაზიანათ“ აუკრძალა ჟორესს ბერლინში ჩამოსვლა სამიტინგოთ, ამიტომ ვერც ბებელი გამოვიდა პარიზის პროლეტარიატის წინაშე. ეს ამბავი მაშინ მიზეზათ გახდა მთელი განათლებულ ევროპის ხარხარისა და, ასე გასინჯეთ, ბურჟუაზიული პრესაც კი საყვედურით მიეგება გაპრუსიელებულ გერმანიის მიერ მოღერებულ მუშტს. დაკვირვებული პოლიტიკოსი მაშინაც კარგათ მიხვდებოდა, რომ ეს და ამგვარი მოვლენანი გამონაკლი არ გახდებოდენ მომავალში. ჩამორჩენილი და მონარქიული სახელმწიფონი ხშირათ ითვისებენ პროგრესიულ მაგალითებს დაწინაურებულ სახელმწიფოთაგან. სამაგიეროთ დაწინაურებული სახელმწიფონი ხშირათ ბაძავენ მონარქიულ ბიურო-კამარილას მეზობელ სახელმწიფოში. ამ ორგვარ „მაიმუნობის“ შორის დიდი განსხვავებაა და ეს მდგომარეობს იმაში, რომ პირველნი, ჩამორჩენილნი, ითვისებენ განათლებულ მეზობელთაგან **პროგრესიულ რეფორმების მინიმუმს**; მეორენი კი, დაწინაურებულნი, ითვისებენ პოლიტიკურათ რეაქციონურ მეზობელთაგან **ბარბაროსობის მაქსიმუმს.** სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ორივე მხარე ერთმანეთის შესაფერი ძმა-ბიჭებია!

და აი, ახლაც სწორეთ ასე მოხდა. ისპანიის სოციალისტთა მცხოვანი ბელადი პაბლო იგლეზიასი კლემანსოს **პირადი ბრძანებით** დაპატიმრებულ იქნა პარიზის სადგურზე და 24 საათის განმავლობაში იგი საფრანგეთის საზღვრის გადაღმა გადატყორცნეს მისმა მსუნაგმა დამქაშებმა. იმავე დროს მადრიდში უკვე მოხდა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო ფრანგების სოციალისტთა წარმომადგენელი. რაც კლერიკალურ-მონარქიულ ისპანიაში შესაძლებელი გამოვიდა, რესპუბლიკანურ საფრანგეთში სასტიკათ აკრძალულია. თვით ბიულოვმა წერილობით მიმართა შარშან გერმანიის ელჩს პარიზში და თხოვა მას გამოეცხადებია საფრანგეთის მთავრობისთვის, რომ იგი, ბიულოვი, „სამწუხაროთ ვერ დაუშვებს **პირადათ მისთვის დიდათ პატივცემულ** ჟორესს“ ბერლინის მიტინგზე! კლემანსომ კი არც აცივა, არც აცხელა — მოხუცი იგლეზიასი **შეთოკა** და დაუყოვნებლივ პირენეის ქედისკენ გააქანა. მერე რომელ კანონის ძალით? ბელაც ისაა, რომ მესამე რესპუბლიკას არა აქვს ისეთი კანონი, რომლის ძალით **უდანაშაულო** უცხოელის გაძევება შეიძლებოდეს. რესპუბლიკის ერთი მთავარი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ დასჯა შედეგია დანაშაულის და არა წინააღმდეგ ამისა: ჯერ ადამიანის დასჯა და მერე მისი დამნაშავეთ აღიარება. კლემანსოს შარები ხომ საქვეყნოთ ცნობილია და აბა ახლა როგორ უნდა ეღალატნა მისთვის თანდაყოლილ ნიჭს! მან ასწია და საბუთათ 1849 წლის განსაკუთრებული კანონი დაიხვია ხელზე! ექვს ცარეშეა, თუ ამ ბარბაროსულ დროის კანონს დარჩა ბურთი და მოედანი, მაშინ კლემანსოს ერთის დაკვრით შეუძლია „მოაცესვენარ“ რუსების გაძევება აქედან. აქედან სჩანს, რომ რუსეთის ს.-დ. კონგრესი შეუძლებელი იქნებოდა პარიზში, ვინიცობაა მონაწილეთ აქეთ განეზრახათ წამოსვლა.

და მერე რა გზით უნდა გამართულიყო მიტინგები? მაროკოს დამოუკიდებლობის და საერთო მშვიდობიანობის დასაცველათ, — ორივე მიზანი, რომელთაც ბურჟუაზია თავის სამოქმედო პროგრამაში იწერს, და რომელნიც პროლეტარიატის ლოზუნგათ გამხდარან. კლემანსო შეცდა, რასაკვირველია, თუ ფიქრობდა, რომ თავის ვერაგულ ნაბიჯით პარიზის მიტინგს ჩაფუშავდა. მიტინგი გაიმართა დანიშნულ დროს და ტრიბუნიდან ერთი-მეორეზე უკეთესი ორატორები მკაცრათ და ესლიანათ ჰკმობდენ „დიქტატურ კლემანსოს“ მხეცურ პოლიტიკას. დამსწრენი „ფუი კლემანსოს“ წამდაუწუმ გაიძახოდენ და ორატორთა მოსწრებულ სიტყვებს გრგვინვით ეგებებოდენ. მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია მაროკოს ავანტიურის წინააღმდეგ.

სოციალისტთა მიტინგს კლემანსობრიანის ბანკეტები დაერთო ამიენში და პა-დე-კალეში. თანამედროვე საფრანგეთის ამ „ორმა ცნობილმა“ გამოილაშქრა პროვინციაში გაერთიანებულ სოციალისტთა წინააღმდეგ, თუმცა მათი ბანკეტების მიზანი სულ სხვა იყო. კლემანსო მხურვალეთ იწვევდა ბურჟუაზიულ პარტიებს „იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც თანამედროვე ბრწყინვალე წყობილებას ნაცარ-ტუტათ ქცევას უქადიან“. „სოციალისტი“ ბრიანი წყევლა-კრულვას უთვლიდა სოციალისტთა რევოლიუციონურ ტაქტიკას და დიდის ქაპან-წყვეტით ექომაგებოდა „კაპიტალის და შრომის მეგობრულ ურთიერთობას“. ამ თვის დამლევს უნდა გაიხსნას პარლამენტი და სოციალისტები ალბათ მაშინ გასცემენ მათ დამსახურებულ პასუხს. ინტერპელიაცია ანუ შეკითხვა იგლეზიასის გაძევების შესახებ უკვე შეტანილია.

ა. ჩხენკელი.

## წერილები ავსტრიიდან

### პარტეიტაგი ვენაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

### საპარლამენტო მოქმედება.

(გაგრძელება)

ვენაში პირველ ოქტომბერსვე პარტეიტაგზე რეფერენტმა რიგერმა (დეპუტატმა) სიტყვიერათ მოხსენება გაუკეთა დელეგატებს საპარლამენტო სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მოქმედების შესახებ. აი ეს მოხსენება: თუ თქვენ ს.-დ. ფრაქციის მოქმედება კრიტიკის საგნათ გინდათ აქციოთ, თქვა რიგერმა, გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ავსტრიის პარლამენტში, რომელიც სხვა და სხვა ეროვნების, სხვა და სხვა პარტიების კონგლომერანტს წარმოადგენს, იმისთანა პოლიტიკის ან ტაქტიკის ხმარება, რომელიც კრიტიკის მაღლა იდგეს, საძნელოა. წინათ ჩვენი მოქმედების ასპარეზი იყო პრივილეგიური პარლამენტი, სადაც ფეხ-ქვეშ უსწორ-მასწორო ნიადაგი გვქონდა: აქ ბრძოლა იმისთანა მეთოდს მოითხოვდა, რომელიც სხვა პარლამენტში, შესაძლოა, საჭირო არ იყოს. ყოველმა სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ თითოეულ პარლამენტში ორი რამ არ უნდა დაივიწყოს: 1) წმინდა პროლეტარული პოლიტიკა, რომლის კამო მთავრობა იძულებული ხდება დაუთმოს მუშათა კლასს მისი (პროლეტარიატის) აუცილებელი მოთხოვნილებანი, და რომლითაც იგი ინთავისუფლებს თავს ეკონომიური, გონებრივი და ზნეობრივი მონობისაგან. 2) ჩვენი მოძრაობის უმთავრესი საბოლოო მიზანი, რომელიც პარლამენტარულ ბრძოლის დროს, სოციალდემოკრატიულ ფრაქციას მუდამ წინ უნდა ქონდეს წამძღვარებული, რომ ყოველი ოპორტუნისტული შეცდომა თავიდან აიცდინოს. ძნელათ შეიძლება მიზეზის პოვნა სოციალდემოკრატიული ფრაქციის გასაკიცხათ. ავსტრიის რეიხსტაგში, სადაც შოვინიზმით გაჟღენთილ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ბრბოდან მხოლოდ მხეცური სიტყვების გაგონება შეიძლება, სადაც მუშათა კლასს ზიზღს, უცხადებენ, პროგრესსა ჰგმობენ იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც პროგრესის განვითარება თვით ბურჟუაზიული პოლიტიკური ცხოვრებისთვის არის საჭირო, მხოლოდ იმის გაკეთება შეგვეძლო, რაც რომ შესაძლებელი იყო.

პირველათ პარლამენტში კანტროლს ვუწევდით სახელმწიფო მმართველობას და მათ მოხელეებს. შემდეგ კანონების შემუშავების დროს ჩვენი ინიციატივით გამოვდიოდით, ვცდილობდით ცენტრისა და მთავრობის-მიერ წამოყენებულ საკანონმდებლო პროექტებში ცუდი ელემენტები დაგვეგმო და მის მაგიერ რაც უკეთესია, ის გაგვეყვანა, ამნაირად, კანტროლის მხრივ ჩვენ პრივილეგიურ პარლამენტში ჩვენი მოვალეობა ავასრულეთ. არ ყოფილა წამოყენებული მთავრობის განზრახვების ასასრულებლათ არც ერთი წინადადება, რომ კრიტიკის ქარცეცხლში არ გაგვეტარებინოს. ჯარის კონტინგენტის შესახებ ერთ საკითხს ისე არ ჩაუვლია, რომ მის განხილვაში მხურვალე მონაწილეობა არ მიგვეღოს, არ გაგვეკრკვიოს ბრძოლა მილიტარიზმსა და კულტურას შორის, პროტესტი არ გამოგვეცხადებიოს მთავრობის მიერ სალდათების შევიწროების და, საზოგადოთ, ჯარის ცუდი მდგომარეობის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვებრძოდით მილიტარიზმს, როგორც ხალხის დამოუკიდებელ უგნურ მოვლენას. მტრებს უშიშრათ და შეუდრეკლათ ვუთითებდით კაპიტალიზმისკენ და მის სურვილის აღმასრულებელ ბიუროკრატია-კლერიკალიზმისაკენ მუშათა კლასის დაჩაგვრა-დამონებაზე. აქტიური ბრძოლის დროს არასდეს არ შეგვიბრალებია ჩვენი მოწინააღმდეგენი. ჩვენ იმ დროსაც-კი ვებრძოდით მთავრობას შეუპოვრათ, როდესაც პარლამენტში სუსტ ძალას წარმოვადგენდით. მართალია, დღეს მთავრობა ისე აღარ გვდევნის, როგორც გვდევნიდა ოცი წლის წინათ, მაგრამ ეს საბუთს არ გვაძლევს, რომ ჩვენი მდგომარეობა პარლამენტში სასურველათ მივიჩნიოთ, როგორც ბევრ ამხანაგს გონია. გთხოვთ, თუ საძნელო არ იქნეს, წაიკითხოთ ის 559 ინტერპელიაციები, რომელნიც ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ პარლამენტში წარდგენილ იქნა; მათში ბევრი საინტერესო ცნობებია მოთავსებული. ჩვენს ინტერპ.-ები ეხებოდა ჟანდარმერიის მიერ მუშების დევნას. მთავრობის მოხელეების საზიზღარ მოქმედებებს, სალდათების ცუდს მდგომარეობას, მართლმსაჯულების“ მოქმედებას, რომელიც ავსტრიაში თანდათან კლასიურ ხასიათს ღებულობს. 100 ინტერპ.-ში აღნიშნული იყო კაპიტალისტების მიერ მუშათა კანონმდებლობის წესის დარღვევა, სახელმწიფო მსახურების მუშების შევიწროვება და სხვა. გარდა ამისა 60 ინტ. მაშინ იქნა შეტანილი, როდესაც დაიწყო რკინის გზის მუშების მოძრაობა და ეხებოდა მათ მდგომარეობას. 83 ინტერპ. შეეხებოდა მთავრობის სისტემატიურ კონფისკაციებს. გარდა ამისა შეტანილ იქნა ისეთი ინტერპელიაციები, რომლებშიაც აღნიშნული იყო მთავრობის ბოროტ-მოქმედებანი, მის მიერ „კანონიერების“ და „მართლმსაჯულების“ ფეხით გათელვა და მუშა ხალხის განთავისუფლებისაკენ ლტოლვილების დახშობა.

რაც შეეხება ჩვენს საკანონმდებლო მოქმედებას, ჩვენ წარვადგინეთ მთელი რიგი პროექტებისა. მუდამ ვცდილობდით ჩვენი პროექტები მინისტრების და სხვა ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ წამოყენებულ ურიცხვ დემაგოგიურ პროექტებისთვის დაგვეპირდაპირებინა, რომ მათთვის საშუალება არ მოგვეცათ მთლათ მათი აზრის გასაყვანათ. ჩვენ პროექტებიდან ერთი პუნქტიც რომ გავიდეს, ამითაც პარლამენტს შეუძლია ისტორიის წინაშე პირნათლათ წარდგეს. ამნაირათ ჩვენ მოვალეობას მუდამ ვასრულებდით. თქვენ შეგიძლიათ შემდეგი კითხვა დაგვისვათ, რისთვის არ შევიტანეთ წინადადება რეფორმის დროს საარჩევნო რაიონების დაყოფის შეცვლაზე? ამაზე მოგახსენებთ: საარჩევნო რაიონების დაყოფა — შეერთებული ბურჟუაზიული პარტიების ხრიკი იყო, რადგანაც მათ საარჩევნო უფლებების შეცვლა სურდათ *). და ჩვენ რომ წინადადება შეგვეტანა, ამით რეფორმის მოწინააღმდეგეთ ხელში იარაღს მივცემდით.

დასასრულ ორატორმა თქვა: ამ ჟამათ ჩვენ სიძლიერით პარლამენტში მეორე ადგილი გვიჭირავს; ჩვენ რომ ჩვენი პრეზიდენტი არ გაგვეყვანა, მოხდა შეერთება ქრისტიანულ-ანტისემიტებ-სოციალისტებისა კლერიკალებთან. ეს ვაჟბატონები გაიხარა რაც ერთმანეთს ეკუთვნოდენ თავიანთი შეხედულებებით. თვით ებენჰოხმა საჯაროთ წარმოთქვა, რომ მათი შეერთების მიზეზი სოც.-დემოკრატების არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება იყო; საქმე ამითიც არ გათავებულა: გუშინ წოდებული გერმანელი ლიბერალური ბურჟუაზია რომელიც გაიხარა კლერიკალიზმის ქარქაში იყო გახვეული, დღეს იძულებული შეიქნა ქარქაში შემოეგლიჯა და სოციალდემოკრატიის მტრებს აშკარათ შეერთებოდა. იგივე ლიბერალური ბურჟუაზია, სლავიანთა საფრთხეს რომ აედინა, ანტისემიტებს ლუეგერ, ებენჰოხ, მორზეის, კალთებს ქვეშ ამოეფარა, იმ მორზეის კალთის ქვეშ, რომელიც მიწასთან ასწორებდა გერმანიის მეცნიერებს, გერმანიის ფილოსოფიას.

ამ გერმანელ-ლიბერალურმა ბურჟუაზიამ წინდახედულობაც გამოიჩინა და პოლონელთა კლუბის *) მაკედლება მოახერხა, რომ მეტი წინააღმდეგობა გაუწიოს სოც. დემ. პარტიას. მაგრამ ვის შეუძლია მეტათ ისარგებლოს ამ კოალიციებით? ლუეგერმა [illegible] პირით აღიარა: „პარლამენტში სამყოლი პარტიები გარდა სოციალდემოკრატიისა — ქრისტიანულ სოციალისტების ფეხ ქვეშ იმყოფებიანო“. ეხლა პარლამენტში სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ ილაშქრებენ სლავიანთა ბლოკის მაგიერ — ბლოკი გერმანელ-სლავიანთა, რომელმაც წითელი საფრთხის გაძლიერების გამო თვისი პრინციპი ფეხით გასთელა, პარტიულ პროგრამას ხაზი გაუსვა და სოციალდემოკრატიის დამარცხებით, მუშათა კლასზე გამოლაშქრებით თავის ხსნას ელის. ამისთანა მოვლენა ჩვენდა სასიამოვნოთ ხდება, რადგან მკვიდრი ნიადაგი იქნება კლასთა ბრძოლისთვის, იმ ბრძოლისთვის, რომელიც პროლეტარიატის აუცილებელ გამარჯვებით უნდა გათავდეს. როგორც დილის მზის სხივნი მიმოიფანტვენ დილის ღრუბლებს, ეგრე სოციალდემოკრატიის 14 მაისს ტრიუმფალურმა გამოსვლამ გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზია, გაიძვერობის ბურუსში გახვეული, დღის სინათლეზე გამოიყვანა, ახსნა ბოროტების პირბადეც — რომლითაც იგი ხალხს ატყუებდა.

ამიტომ ამისთანა მოვლენას სიხარულითაც უნდა ვეგებებოდეთ, და რაც უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე დაგვიხვდება ბრძოლის ველზე, მით უფრო გავიორკეცებთ ჩვენს ენერგიას. ახალი გამარჯვებით ახალ ხანაში ჩავდექით. ჩვენი თავმოყვარეობა, ჩვენი მისწრაფება ამ დიდებული დროს შესაფერათ უნდა აღვნიშნოთ არა მარტო პარლამენტში მოქმედებით, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პარლამენტს გარეთაც (აპლოდისმენტი).

თელანელი

*) აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბურჟუაზიულმა პარტიებმა იმნაირათ დაყვეს თავიანთ სასარგებლოთ საარჩევნო რაიონები, რომ ეგონათ სოც. დემოკრატები ამაზე არ დათანხმდებოდენ რის შემწეობითაც შემდეგ საარჩევნო უფლებებს შესცვლიდენ.

*) პოლენ-კლუბი გალიციაში რეაქციონერებიდან შესდგება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

16 ოქტომბერი

### არჩევნები

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობებით 15 ოქტომბერს ღამის 12 საათამდე არჩეული ყოფილა 327 დეპუტატი. ამათგან 19 რუსთა კავშირის წევრი; 1 რუსთა განაპირების წევრი; 1 რუსთა კრების წევრი; 8 ბესარაბიის ცენტრის წევრი; 64 ოქტომბრისტი; 6 იმათი თანამოაზრე; 3 მარნო-ობნოვლენცი; 25 კადეტი; 6 მუსულმანთა ფრაქციის წევრი; 6 ბალტიის კონსტიტუციონელი; 9 სოციალდემოკრატი; 1 სოციალ-რევოლიუციონერი; 1 დაშნაკტაკანი; 1 უკიდურესი მემარჯვენე; 34 მონარქისტთა მომხრე; 100 მემარჯვენე; 11 ზომიერი; 2 კონსერვატორი; 1 კონტრ. მონარქისტი; 3 უკიდურესი მემარცხენე; 5 მემარცხენე; 8 პროგრესისტი; 1 ზომიერი კონსტიტუციონალისტი; 9 ზომიერი პროგრესისტი; 1 პოლ. ნაციონალისტი; 1 უპარტიო.

**ტამბოვი.** 14 ოქტომბერს პოლიციამ და 50 კაზაკმა ალყა შემოარტყა ციხის მახლობლათ შენობებს და დაიწყო ჩხრეკა. კოჩეტოვის სახლში აღმოაჩინეს ხვრელი 20 საჟენის სიგრძე, რომელიც მიდის ციხის კედლებამდე. ხვრელში იპოვეს ელექტრონის ფარნები და სხვადასხვა გვარი საჭირო მოწყობილებანი. კოჩეტოვის ბინაზე აღმოჩნდა იარაღი. ხვრელში დაიჭირეს 6 მომუშავე, აგრეთვე კოჩეტოვი და ერთი უცნობი. ყველანი ს.-რევოლიუციონერებს ეკუთვნიან.

**თელავი.** 11 ოქტ. ხუთმა ტუსაღმა გაქცევა განიზრახა. გაანგრიეს ციხის კედელი და ავიდენ სახურავზე. აქ ხმაურობა გაიგონა დარაჯმა, ესროლა თოფი და მოკლა ერთი და დასჭრა ერთი. სხვები დაიჭირეს.

**ვენეცია.** საშინლათ ადიდდენ და ნაპირები გადმოხეთქეს ყველა მდინარეებმა ვენეციის პროვინციაში. დაბლობი ადგილები და აგრეთვე ქალაქები: სვიო, მაროსტიკა და ტიონე წყალში არიან ჩაფლულნი. ქ. როვიგაში წყალი ადის საქ. სახლის პირველ სართულამდე. რკინის გზის მიმოსვლა შეწყვეტილია.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

„გუტენბერგისა“

წიგნის მაღაზიაში, ტფილისი, შტაბის ქუჩა, № 2.

მიღებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა წიგნები მოზრდილთა და ბავშვებისათვის. წიგნები იგზავნება ფას-დადებით. „ზაკაზები“ სრულდება დაუყოვნებლივ და წესიერათ. თუ „ზაკაზი“ გადაცილდა 3 მან. იმ მოხვევაში საჭიროა ბე. (3—ფ.—3)

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.